

სასტუმრო
ინდუსტრიის კვლევა
საქართველოში

AGIC

მომზადებულია 2019 წლის მონაცემებზე დაყრდნობით





შინაარსი

გვერდი 3 - მეთოდოლოგია

გვერდი 4 - კვლევის შედეგები

გვერდი 6 - ბაზრის ზოგადი
მიმოხილვა

გვერდი 11 - ძირითადი მოთამაშეები

გვერდი 12 - ფინანსური
კოეფიციენტები



კვლევის მიზანი

მოცემული კვლევა ემსახურება სასტუმროების მიმოხილვას, არსებული ტენდენციების გამოვლენას, პირველი, მეორე და მესამე ზომითი კატეგორიის დაწესებულებების 2019 წლის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

რეპორტში წარმოდგენილია დარგის საშუალო ფინანსური მაჩვენებლები, რომელიც აყალიბებს დარგის "ბენჩმარკს" და იძლევა ინფორმაციას მის ფინანსურ მდგომარეობაზე.



მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული მონაცემები აღებულია ანგარიშგების პორტალის ვებგვერდიდან, სადაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება.

მოცემული სასტუმროები ეკუთვნის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე ბომითი კატეგორიის კომპანიებს.

აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა 2019 წლის მონაცემებს, კვლევაში განხილული იქნება სასტუმროები, რომელთა რაოდენობაც ჯამურად შეადგენს 81-ს.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია სასტუმროების მიმოხილვაზე, კონკრეტულად კი მათ რაოდენობაზე, რეგიონების მიხედვით გადანაწილებაზე, და ფინანსურ მაჩვენებლებზე, მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან.





კვლევის შედეგები

კვლევა მიმოიხილავს სასტუმროებს, რომელთა ჯამური ბრუნვა აღემატება 449 მილიონ ლარს, აქტივების ჯამი 1625 მილიონ ლარს, ხოლო ჯამური მოგება დაბეგვრამდე აღწევს - 16 მილიონ ლარს.

კვლევამ გამოავლინა ინდუსტრიის ლიდერი სასტუმროები შემოსავლების, აქტივებისა და მოგების მიხედვით.

მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში არსებულ სასტუმროებს, გააჩნიათ შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები: მოგებამ აქტივებზე საშუალოდ შეადგინა (ROA) 3%, მოგებამ კაპიტალზე კი (ROE) 25%.

გარდა ამისა, დადგინდა ფინანსური კოეფიციენტები ინდუსტრიის საშუალო ლიკვიდურობის და გადახდის უნარიანობის შესახებ.






კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა სასტუმროების 2019 წლის საშუალო მონაცემები. მოცემული 81 სასტუმროდან 3 განეკუთვნება პირველ კატეგორიას, 18 მეორე კატეგორიას, 49 კი მესამეს, 8 მეოთხე კატეგორიას ხოლო, 3 კი მიეკუთვნება სდბ კატეგორიას.


ათასი,ლარი

საშუალო რეალიზაცია





ათასი,ლარი

საშუალო მთლიანი აქტივები



ათასი,ლარი

საშუალო მოგება დაბეგვრამდე






განთავსების საშუალებების მიმოხილვა

საქართველოში სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობა 2019 წლის ჩათვლით სტაბილურად მზარდი იყო, ხოლო 2020 წელს 628 ერთეულით შემცირდა, რაც არსებულმა პანდემიურმა სიტუაციამ განაპირობა. თუმცა, ნავარაუდებია, რომ 2025 წლისთვის საქართველოში განთავსების საშუალებების გაორმაგებაა მოსალოდნელი, ვინაიდან მზარდია ტურიზმი და ტურისტების რაოდენობა ქვეყანაში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით იზრდება ინდუსტრიის ბრუნვა წლიდან წლამდე, გამონაკლისია 2020 წელი. ეტაპობრივად, განთავსების საშუალებები ახორციელებენ ცვლილებებს და ნერგავენ შესაბამის სტანდარტებს, რომელიც შეესაბამება


როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში არსებულ მოთხოვნებს, რაც დარგს ხდის კიდევ უფრო მიმზიდველს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2019 წელს, სასტუმროების რაოდენობამ შეადგინა 1,682 ერთეული, ხოლო 2020 წელს 1,054 ერთეულამდე შემცირდა. ქვემოთ მოცემულია სასტუმროებისა და ნომრების საერთო რაოდენობა საქართველოში, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საქსტატის ოფიციალური მონაცემების თანახმად.

ერთეული სასტუმროებისა და სასტუმრო ნომრების საერთო რაოდენობა



როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მზარდია როგორც სასტუმროების, ასევე ნომრების საერთო რაოდენობა, გამონაკლისია 2020 წელი. რაც შეეხება ნომრების რაოდენობას ადგილების მიხედვით, შემდეგია:

ერთეული სასტუმროს ნომრების რაოდენობა ადგილების მიხედვით



ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით არის ორადგილიანი ნომრები, რისი განმსაზღვრელიც შეიძლება იყოს მასზე მაღალი მოთხოვნა.


განთავსების საშუალებების მიმოხილვა



ათასი კაცი


საქართველოში სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში სტუმართა რაოდენობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შემდეგია:

სასტუმროებში და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში სტუმართა რაოდენობა, სულ



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2019 წლის ჩათვლით სტუმართა, მათ შორის არარეზიდენტების რაოდენობა სტაბილურად მზარდია. რაც შეეხება სასტუმროებში დასაქმებულთა რაოდენობას, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, შემდეგია:



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სასტუმროებში დასაქმებულთა მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2019 წელს, ხოლო მინიმალური 2020 წელს, აქედან ძირითად რაოდენობას წარმოადგენენ ქალები.




განთავსების საშუალებების მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული სანარმოების ბრუნვის მოცულობა სანარმოთა ზომის მიხედვით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, შემდეგია:

მილიონი ლარი

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული სანარმოების ბრუნვის მოცულობა სანარმოთა ზომის მიხედვით



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული სანარმოების ბრუნვის მოცულობა სტაბილურად მზარდია, გარდა 2020 წლისა.

მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2019 წელს და შეადგინა 2089.1 მილიონი ლარი, ხოლო 2020 წელს დაფიქსირდა 1232.4 მილიონი ლარი, რაც 41%-ით დაბალი მაჩვენებელია. მიმდინარე სტატისტიკის თუ შევხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სანარმოების ბრუნვის მოცულობის ყველაზე დიდი წილი მოდის მცირე ზომის სანარმოებზე, 2019 წელს 914.5 მილიონი ლარი შეადგინა, მაშინ როდესაც ამავე წელს საშუალო ზომის სანარმოების ბრუნვის მოცულობა დაფიქსირდა 575.2 მილიონი ლარი, ხოლო მსხვილი ზომის სანარმოების შემთხვევაში 599.3 მილიონი ლარი.




განთავსების საშუალებების მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობა რეგიონების მიხედვით ასეთია:

მილიონი ლარი

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობა რეგიონების მიხედვით



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს ბოლო წლებში განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობით აშკარა ლიდერია თბილისი, 2019 წელს დაფიქსირდა მაქსიმალური ბრუნვის მოცულობა 1407.3 მილიონი ლარი, მეორე ადგილს 2019 წლის მიხედვით იკავებს აჭარა - 324.9 მილიონი ლარი, ხოლო მესამე ადგილს კახეთი 68.5 მილიონი ლარით.

2019 წელს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 3.9 მილიონი ლარი.




განთავსების საშუალებების მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, სასტუმროებში დაქირავებულთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა 2020 წელს და შეადგინა 12,448 ადამიანი, რაც 2019 წლის მონაცემთან შედარებით 41%-ით დაბალია, რაც შეეხება ბოლო ხუთი წლის მონაცემებს, ასე გამოიყურება:

კაცი

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის საქმიანობით დაკავებულ სანარმოდებში დაქირავებულთა რაოდენობა




წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სასტუმროებში დაქირავებულთა მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2019 წელს, ხოლო მინიმალური 2020 წელს. რაც შეეხება განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის საქმიანობით დაკავებულ სანარმოდებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურებას, შემდეგია:

ლარი

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის საქმიანობით დაკავებულ სანარმოდებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განთავსების საშუალებებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება მზარდია, მიუხედავად დარგში არსებული კრიზისისა.



პანდემიის ზეგავლენა ტურიზმის ინდუსტრიაზე

მნიშვნელოვანია აღინიშნოს შიდა ტურიზმის გააქტიურება, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემების თანახმად, 2021 წლის პირველ კვარტალში შიდა ტურიზმის მაჩვენებელი 2019 და 2020 წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 112% და 119%-ით გაუმჯობესდა.



2021 წლის პირველ კვარტალში, გაიზარდა ასევე ღამისთევების მთლიანი რაოდენობა 31%-ით, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. შიდა ტურისტებმა, შესაბამისად, 51%-ით და 45%-ით მეტი დახარჯეს, 2019 და 2020 წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ საშუალო დანახარჯმა ერთ ვიზიტზე 149 ლარი შეადგინა, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 35 %-ით მეტია.

სტატისტიკის თანახმად, 2021 წელს გაიზარდა სასტუმროების დატვირთილობის კოეფიციენტი, 2020 წლისგან განსხვავებით, განსაკუთრებით ბაფხულის ტურისტულ სეზონზე და თითქმის მიუახლოვდა რეკორდულ 2019 წლის მაჩვენებლებს. კერძოდ, თუკი 2019 წლის მაისსა და ივნისში ეს მაჩვენებელი, შესაბამისად, 61,4 % და 66,3 % იყო, 2021 წლის ანალოგიურ თვეებში მან 40,3 % და 58,3 % შეადგინა, რაც ძალიან კარგი პროგნოზის გაკეთების საშუალებას იძლევა.






ბაზრის ძირითადი მითამაშეები (2019 წ)


ათასი, ლარი

ტოპ 5 სასტუმრო შემოსავლების მიხედვით (2019)




ათასი, ლარი

ტოპ 5 სასტუმრო მთლიანი აქტივების მიხედვით, (2019წ)



ათასი, ლარი

მოგება დაბეგვრამდე, ტოპ 5 სასტუმრო (2019წ)






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები (2019 წ.)


ლიკვიდურობის კოეფიციენტები

კვლევის შედეგად გამოვლინდა სასტუმროების ლიკვიდურობის კოეფიციენტები. მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტებმა შეადგინა 8,48 და 6,42, როდესაც ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე მეტია, ინდიკატორი ითვლება დამაკმაყოფილებლად.



მომგებიანობის კოეფიციენტები

საქართველოში მოქმედი სასტუმროების მომგებიანობის კოეფიციენტებმა შეადგინა შემდეგი: წლიური მოგება აქტივებზე მწარმოებელთათვის შეადგენს (ROA) 3%-ს, ხოლო მოგება კაპიტალზე ROE შეადგენს 25%-ს,






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები(2019წ.)

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები

ვალდებულებები შეფარდებული აქტივებთან კოეფიციენტი გვიჩვენებს, მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების შეფარდებას. სასტუმროებისთვის ეს მაჩვენებელი უტოლდება 0,7-ს, ასევე აღსანიშნავია ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს 1,25 -ს, რაც მიუთითებს თუ რამდენად აღემატება ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებს.


გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი სასტუმროებისთვის, 2019



ეფექტურობის კოეფიციენტები

აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი სასტუმროების შემთხვევაში უტოლდება მხოლოდ 0,65-ს, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო ეფექტურად ახერხებს კომპანია მისი აქტივების გამოყენებას გაყიდვების მოცულობასთან მიმართებაში.

ეფექტურობის კოეფიციენტები სასტუმროებისთვის, 2019



AGIC

რეპორტი მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია AGIC-ის მიერ, რომელიც მოღვაწეობს 2007 წლიდან და უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას აუდიტის, საბუღალტრო, ბიზნეს საკონსულტაციო და მარკეტინგის მიმართულებით.

კომპანიის გუნდი შედგება 40-ზე მეტი მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლებისაგან, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან განვითარებასა და კლიენტების წარმატებაზე.

აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია "AGIC" არის "PrimeGlobal"-ის წევრი საქართველოში, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს გლობალური, კომპლექსური და სხვადასხვა სირთულის პროექტები პარტნიორებთან ერთად მსოფლიოს 85-ზე მეტ ქვეყანაში.



0171, პ. ქავთარაძე #10, I შესახვევი,
სართული 4 თბილისი, საქართველო



(995 322) 500 130



(995 599) 34 33 48



info@agic.ge

